კონსტანტინე მეღვინეთუხუცესი

კომპოზიტორი კონსტანტინე მეღვინეთუხუცესი დაიბადა 1891 წლის 27 ნოემბერს, გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში რკინიგზელის ოჯახში. პირველი მუსიკალური განათლება დედისაგან მიიღო, რომელიც პროფესიონალი მომღერალი იყო. ხუთი წლის კოტე უკვე როიალზე უკრავდა. ათი წლის ასაკში თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში ჩაირიცხა ფორტეპიანოს განხრით, სადაც თეორიასა და სოლფეჯიოს თავად ზაქარია ფალიაშვილი ასწავლიდა.

1909 წელს კ. მეღვინეთუხუცესმა ერთდროულად დაამთავრა თბილისის მე-2 რუსული გიმნაზია და მუსიკალური სასწავლებელი. იგი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგში და ერთდროულად ორ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა, უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე და კონსერვატორიაში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ - ლემბა, ა. ლიადოვი და ლ. საკეტტი. ორივე სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში მუსიკის გაკვეთილებს იღებდა კომპოზიტორ ა. გლაზუნოვისგან.

1927-31 წლებში კ. მეღვინეთუხუცესი საქართველოს სახალხო კომისართა მუსიკალური განყოფილების გამგე გახდა, 1928-43 წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, 1932 წლიდან პროფესორი, ხოლო 1943 წლიდან შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, სადაც კითხულობდა მუსიკის ისტორიას. პარალელურად იგი იყო თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური კათედრის გამგე.

კ. მეღვინეთუხუცესი ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი გახლდათ. 1926 წლიდან კი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

მრავალფეროვანია კ. მეღვინეთუხუცესის შემოქმედება. იგი მუშაობდა როგორც საოპერო ისე საბალეტო ჟანრში, ასევე ქმნიდა კლასიკურ მუსიკას. მისი ოპერებია: „1905 წელი“, „ამირანი“, კომიკური ოპერა „ბეკინას ქორწინება“. ბალეტები: „ჭანი გოგონა“, „ელვარა“. ექვსი სიმფონია, სიმფონიურინ პოემა, საფორტეპიანო პიესები. მუსიკალურად გაფორმებული აქვს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები: ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ი. ვაკელის „შამილი“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ვ. ჰიუგოს „რუი ბლაზი“, შექსპირის „რიჩარდ III“, „ჭირვეულის მორჯულება“, „ოტელო“, კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, „მარიამ სტიუარტი“, კ. კალაძის „ხატიჯე“, უ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“ და სხვა. გარდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრისა იგი სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდა ქუთაისის, სომხურის, სოხუმის, თბილისის აზერბაიჯანული თეატრის, აგრეთვე თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლებს. კ. მეღვინეთუხუცეს ქართულ და რუსულ მოზარდმაყურებელთა თეატრში გაფორმებული აქვს სგრეთვე სხვადასხვა სპექტაკლები. იგი ავტორია შრომების: „შემავალი ტონის ისტორია“, „ქართული ხალხური კილოები“,

„მუსიკალური გაფორმების საფუძვლები“, „მუსიკალური სტილების თეორია“, „ქართული სიმფონიზმი“ და სხვა.
1946 წელს კ. მეღვინეთუხუცესს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების და დამსახურებული მოღვაწის წოდება.
კ. მეღვინეთუხუცესი გარდაიცვალა 1970 წლის 30 ნოემბერს 81 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კონსტანტინე მეღვინეთუხუცესის პირადი საარქივო ფონდი

დამადასტურებელი საბუთები, ავტობიოგრაფია

1. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული კონსტანტინე მეღვინეთუხუცესის პროფესორის ატესტატი.
   1932 წ. 21 დეკემბერი. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 1 ც.

2. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ გაცემული მოწმობა ერევანში კ. მეღვინეთუხუცესის მივლინების შესახებ, ს. შანშიაშვილის პიესა „არსენას“ მუსიკალურად გაფორმებასთან დაკავშირებით.
   1937 წ. 4 დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. ბლანკი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. კ. მეღვინეთუხუცესის ავტობიოგრაფია.
   1940 წ. 16 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ. 3 ეგზ.

4. კ. მეღვინეთუხუცესის ავტობიოგრაფია.
   1948 წ. 7 ივნისი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

5. კ. მეღვინეთუხუცესის ავტობიოგრაფია.
   1948 წ. ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ბეჭედდასმული. 2 გვ.

6. კ. მეღვინეთუხუცესის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ბიოგრაფია.
   უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

7. კ. მეღვინეთუხუცესის ავტობიოგრაფია.
   უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

კადრების აღრიცვის ფურცელი, დახასიათება, ბრძანება

8. კ. მეღვინეთუხუცესის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1946 წ. 21 აგვისტო. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

9. კ. მეღვინეთუხუცესის დახასიათება გაცემული საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ.
   1948 წ. 18 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

10. კ. მეღვინეთუხუცესის კადრების აღრიცხვისთვის პირადი ფურცელი.
    უთარიღო. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

11. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული კ. მეღვინეთუხუცესის დახასიათება.
    უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

12. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მიერ გაცემული კ. მეღვინეთუხუცესის შემოქმედებითი დახასიათება საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
    უთარიღო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: შ. მშველიძე, გრ. ჩხიკვაძე. 2 გვ.

13. საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული ბრძანება კ. მეღვინეთუხუცესის კონსერვატორიიდან გათავისუფლების შესახებ.
    1937 წ. 7 თებერვალი. ხელნაწერი. ასლი. მელანი. 1 გვ.

ცნობა, მიმართვა

14. სომხეთის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. ამირხანიანის მიერ გაცემული ცნობა კ. მეღვინეთუხუცესის ერევანში ს. შანშიაშვილის პიესა „არსენას“ მუსიკალურად გაფორმების შესახებ.
    1937 წ. 11 თებერვალი. ერევანი. ხელნაწერი. ბლანკი. ასლი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

15. საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ გაცემული ცნობა, კ. მეღვინეთუხუცესის კონსერვატორიაში დოცენტისა და პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
    1937 წ. 11 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. ბლანკი. ასლი. მელანი. 1 გვ.

16. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. კანდელაკის მიმართვა კ. მეღვინეთუხუცესისადმი ბალეტ „მზიას“ დაგეგმილ დროში ჩაბარების შესახებ. (მეორე გვერდზე კ. მეღვინეთუხუცესის პასუხი ამ ნაწარმოებების დათქმულ დროში ჩაბარების შესახებ).
1946 წ. 29 იანვარი. ბლანკი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. 2 გვ.

17. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ გაცემული ცნობა კ. მეღვინეთუხუცესის მე-6 სიმფონიის დაწერის შესახებ.
1946 წ. 9 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს - გრ. ჩხიკვაძე. 1 გვ.

18. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიმართვა საქართველოს ფილარმონიის დირექტორ ბუაჩიძისადმი კ. მეღვინეთუხუცესის მე-6 სიმფონიის პარტიტურის დაწერის შესახებ.
1946 წ. 11 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. ბლანკი. 1 გვ.

19. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ი. დოლიძის მიმართვა ტექნიკუმების ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს ა. ფომინისადმი, კ. მეღვინეთუხუცესის ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად დანიშვნის შესახებ.
19 ივლისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

20. თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის ბუღალტერის მიერ გაცემული ცნობა კ. მეღვინეთუხუცესის ოპერა „ამირანის“ დადგმასთან დაკავშირებით ჰონორარის მიღების შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

განცხადება, ნებართვა, ოქმი

21. კ. მეღვინეთუხუცესის განცხადება თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციისადამი ოპერა „ამირანის“ დადგმასთან დაკავშირებით.
1928 წ. 13 აგვისტო. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

22. კ. მეღვინეთუხუცესის განცხადება თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციისადმი ოპერა „ამირანის“ დადგმის შესახებ.
1934 წ. 28 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

23. ამონაწერი საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ კ. მეღვინეთუხუცესის ოპერა „ამირანის“ თბილისის ოპერისა დ ბალეტის თეატრის სცენაზე დადგმასთან დაკავშირებით.
1944 წ. 11 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. რუსულ ენაზე. 2 გვ.

24. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ჩატარებული სხდომის ოქმი კ. მეღვინეთუხუცესის მე-6 სიმფონიის განხილვის შესახებ.
1946 წ. 22 იანვარი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ლ. დონაძე, გრ. ჩხიკვაძე, ა. ბალანჩივაძე. ბეჭედდასმული. მელანი. 2 გვ.

25. კ. მეღვინეთუხუცესის განცხადება საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ ვლადიმერ ჭიაურელისადმი საავტორო უფლებების დაცვისა და აკადემიური პენსიის დანიშვნის შესახებ.
პირი - შადური.
1953 წ. 1 სექტემბერი. ავტოგრაფი. რეზოლუციით. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

26. კ. მეღვინეთუხუცესის სიმღერა „სიჭაბუკის“ ნოტი. სიტყვები - ვ. ფაშალიშვილისა და კ. აირანგიძის. ირლანდიური სტილით ბარიტონის ხმისათვის. (დავით გამრეკელის რეპერტუარიდან).
1943 წ. ავტოგრაფი. რეზოლუციით. ბეჭედდასმული. მელანი. 4 გვ.

27. კ. მეღვინეთუხუცესის ქართული ჰიმნი „არმაზი“. (კონკურსისთვის) კლავირი და საგუნდო პარტიები.
ავტოგრაფი. შავი და ლურჯი მელანი. ფანქარი. 21 გვ.

28. კ. მეღვინეთუხუცესის სიმღერა „სამშობლოს“ სიტყვები. (დავით გამრეკელის რეპერტუარიდან).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

29. კ. მეღვინეთუხუცესის სიმღერა „მხიარული სერენადა“ (კვარტეტისთვის) უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

30. კ. მეღვინეთუხუცესის მუსიკალური გაფორმება სპექტაკლისათვის „მზის დაბნელება საქართველოში“. კლავირი. ფრაგმენტული ხასიათის.
ავტოგრაფი. ფანქარი. 8 გვ.

31. კ. მეღვინეთუხუცესის საესტრადო მუსიკალური გაფორმება „ქართველი მსახიობის ბედი“, შ. დადიანის პიესის მიხედვით. კლავირი. ფრაგმენტული ხასიათის. (მიძღვნილი ვასო გოძიაშვილისადმი).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 44 გვ.

სია

32. კ. მეღვინეთუხუცესის ნაწარმოებთა სია.
1940 წ. 1 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

33. კ. მეღვინეთუხუცესის ნაწარმოებთა სია.
1955 წ. 12 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. მელანი. რუსულ ენაზე. 7 გვ.